პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

3 ნოემბერი
ხუთშაბათი

1917. პეტროგრადის მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭომ დაუგზავნა განკარგულება ჯარის ყველა ნაწილებს, რომ ძალა არა აქვს არავითარ ბრძანებას გარნიზონისადმი, თუ იგი არ იქნება ხელმოწერილი სამხედრო რევოლუციური კომიტეტის მიერ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

პოლონეთის მხრიდან უკრაინის ტერიტორიაზე გადმოდიან პეტლიურას ბანდები და მოსაზღვრე ხელისუფლებს თავს ესხმიან; ამის გამო საბჭოთა მთავრობამ სათანადო განცხადება გამოაქვეყნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 202 ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 1921 წ. № 202

მუშებო, გლეხებო, წითელ ჯარის-კაცებო და ყველა მშრომელნო! მენშევიკებმა საქართველოს გაცარცვის შემდეგ გაანადგურეს რკინის-გზები, ააფეთქეს ხიდები. საბჭოთა მთავრობამ აღადგინა რკინის-გზების მუშაობა და ევროპა-რუსეთიდან პურს ეზიდება. მენშევიკებმა მოისურვეს რკინის-გზების ხელახლა მოშლა, პურის შემოზიდვის გაძნელება. თბილისის და მთელი საქართველოს მუშებმა ღირსეული პასუხი გასცეს პროვოკატორებს. გაუფრთხილდით მშრომელი ხალხის მტრებს! თვალი ადევნეთ თავზე ხელაღებულ მენშევიკების მოქმედებას!

საქართველოს კომპარტიის ც. კ. და თბ. კ—ის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებანი

პარასკევს, ამა წლის 4 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში მართავენ

„მოგონებათა საღამოს—პეტერბურგი 1917 წ."

მომხსენებლებად გამოვლენ ამხანაგები ლისოვსკი, რუდაკოვი და მავრინი.

დღეს 3 ნოემბერს საღამოს 6 საათზე, კინო თეატრი „მიქიონის" შენობაში შესდგება

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა

ცენტრალურ გამგეობებსა და საქალაქო კომიტეტებთან ერთად.

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა, ვინაიდან დღის წესრიგში სდგას მეტად საყურადღებო საკითხები. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

კონტრ-რევოლუციის მგირეების განაპარდება

ნუ დაეძებ ძველს გზასა, ხურცა ძველსა მეგობარსა—ასე გადაუწყვეტია ქართველ მენშევიკების [illegible] ნება გონების. მათი ძველი გზაა კონტრრევოლუცია, მუშა-გლეხების წინააღმდეგ ინტრიგა და ბრძოლა. მათი ძველი მეგობარია საერთაშორისო იმპერიალიზმი, დენიკინ-ვრანგელი, გამარჯვებულ მუშების სისხლით [illegible]. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში არ შეურიგდნენ და ვერც შეურიგდებოდნენ ანტანტის ყურმოჭრილი ლაქიები. მაგრამ პირველ ხანებში ისინი მხოლოდ ფარულად [illegible], ჭორიკანობდნენ, პროვოკაციის ამბავს ავრცელებდნენ, [illegible] გამოწვევას ცდილობდნენ მალულად, პროვოკატორულად. ეგონათ, დარწმუნებულნიც კი იყვნენ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი არ შეურიგდებოდა, არ მიიღებდა, არ მიიჩნევდა თავისად საბჭოთა [illegible] ხელისუფლებას, მუშა-გლეხურ დიქტატურას. მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ. მეტადრე თვით რაც საქართველოს [illegible], რაც აქედან გაიდევნილ იქნა მენშევიზმი და საქართველოს მთელს სივრცეზე, არც ერთ კუთხეში ადგილი არ ქონებია ხალხის რომელიმე ჯგუფის არც ერთ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არც ერთ უკმაყოფილების და პროტესტის გამოცხადებას. ეს მიუხედავად საბჭოთა აპარატის მოუწყობლობისა, სისუსტისა. გლეხობამ, მუშათა კლასმა, მშრომელთა ინტელიგენციამ, ქვეყნის ყველა ცოცხალ ძალებმა თითქმის სავსებით თავი დააღწიეს მენშევიკებისაგან წამოყენებულ სურათს ბოლშევიკური რეჟიმის საშინელებისას, გაერკვიენ მდგომარეობაში, იცნეს თავისი ნამდვილი მეგობრები და თანამებრძოლნი, შესაფერისად დააფასეს ნიღაბაგლეჯილი და მთლად გაშიშვლებული, იმპერიალისტების ფეხებში [illegible] მენშევიზმი. გაერკვიენ, დააფასეს და ყველამ შეიტყო მოთმინებას, [illegible], მიუხედავად ათასგვარი გაჭირვებისა, სიშიშვლე-შიმშილისა.

ასეთი მდგომარეობა საშინელ [illegible] მენშევიკებისა, საბჭოთა რესპუბლიკის ნორმალური აღმშენებლობა, რასაც წარმოადგენს ეტყობა დღითიდღე, რაიც ყველასათვის შესახედავი ხდება, მძიმე ლოდად აწევს მკვდარი მენშევიზმის საფლავზე. და ამიტომაც სულთ მობრძავი ლეში, სისხლდენილით დაკოდილი უკანასკნელ [illegible] „ძლიერებს" და [illegible] ებრძვის, სულთმობრძავ [illegible], აქვე იქით [illegible]...

სასაცილოა ასეთი სურათი, მაგრამ იმავე დროს საფრთხის მომასწავებელიც, ვინაიდან ასეთ ყოფაში ჩავარდნილი რეაქციონური პარტია თავის ეშვებს გააგრძელებს [illegible], რაც კი შეხედება და შეიძლება შეხვდეს სასიცოცხლო ძარღვი გადუჭრას.

ასეთ სურათს წარმოადგენდა 1 ნოემბერს შებრძოლი მენშევიზმი ქ. თბილისში. სასაცილონი იყვნენ ყოფილი გვირგვინოსანნი საქართველოსი, როცა გამოირკვა მათი უნიადაგობა მუშათა მასსებში, როცა მათმა გაკვირვებამ და ვერც ხალხს პროვოკატორობამ მუშათა მასსა შეცდომაში ვერ შეიყვანა და მენშევიკების კონტრრევოლუციის მოწოდება დაუმარცხდა. იმავე დროს [illegible] იყო მათი ბნელი განზრახვები, რადგან მათ [illegible] ეშვი მიუღერეს ქვეყნის სასიცოცხლო ძარღვს, რკინის გზას.

უკანასკნელ ხანებში მენშევიკების ცენტრ. კომიტეტი დიდ ფაცაფუცში იყო, მეტეხის ციხეში და ადგილებზე სხდომებს აწყობდა, კომპანიისთვის და გამოსვლებისთვის ემზადებოდა.

კიდევაც მოაწყვეს „გამოსვლა", შეეცადნენ რკინის გზებზე და სხვა მნიშვნელოვან დარგებში გაფიცვის მოწყობას, მაგრამ მუშათა მასსის მტკიცე ნებისყოფა და რევოლუციონური შეგნება გადაეღობა მათ პროვოკატორულ ზრახვებს. რკინის გზელთა მიერ არჩეული უპარტიო კომისია იკვლევს, თუ რა მიზეზით 1 ნოემბერს არ დარიგდა პური, როცა სასურსათო ორგანოები უზრუნველყოფილი არიან ფქვილით ერთი თვით მაინც. დიახ, კომისიამ, რომელიც შედგება უპარტიო მუშებისაგან [illegible], ნიღაბი ჩამოგლიჯოს დამნაშავეებს და გადაჭრით სთქვას: საბჭოთა მთავრობის აგენტების დაუდევრობის შედეგი იყო ეს, თუ იმათი, ვისაც წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა გაფიცვის გამოწვევა და ამ მიზნით მოახერხეს პურის დარიგების შეჩერება, რაიც საბაბათ გამოიყენეს იმ დილითვე გაფიცვის გამოსაწვევად. ვინც არ უნდა გამოდგეს ნამდვილი დამნაშავე, მუშათა მასსამ თავისი პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოიტანა: როცა პროვოკაციულად მოწყობილმა მუშათა მიტინგმა ერთხმათ იგრიალა „ურა" და მიუხედავათ გადასული დროისა დაზგებს მიაშურა, ეს „სულთათანა განისვენე"-ს გალობა იყო ქართველ მენშევიზმის გაჭირვებულ სულის პირას, როცა ელექტრონის სადგურის, სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების, ფოსტა ტელეგრაფის და საწყობების მუშა მოსამსახურეებმა ცივი უარით გაისტუმრეს მენშევიკების აგენტები, გაფიცვისაკენ მომწოდებლები—ეს დიდი [illegible] გამასხარავება, განზრახული დიდი შეტაკების ფარსით დათავება.

მუშათა მასსამ თავისი მოქმედებით, თავისი დამოკიდებულებით პროვოკატორებისადმი აშკარად ყველასათვის გასაგონათ სთქვა: ჩვენ გაჭირვებას განვიცდით; მაგრამ ვიცით ამ გაჭირვების მიზეზები; ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა არ არის პასუხისმგებელი იმ მძიმე მდგომარეობის გამო, რომელიც დაგვიტოვა მენშევიკების ბატონობამ; ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა ერთად ერთი მუშურ გლეხური მთავრობაა, რომელიც ზრუნავს მარტოთ-მარტო მშრომელებზე; ვიცით ისიც რომ რკინისგზების შეჩერებაში, მათი მუშაობის მოშლაში დაინტერესებულნი მხოლოდ მშრომელი ხალხის მტრები, მისი მძიმე მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების მოსურნენი; ვიცით, და ამიტომაც არ წამოვეგებით მშრომელი ხალხის მტრების პროვოკატორულ ანკესზე.

ასეთია თბილისის პროლეტარიატის ნებისყოფა, ასეთია მისი განაჩენი მენშევიკების პოლიტიკური ლეშის მორიგ უკანასკნელი დანაშაულის გამო.

გაიგებენ ამ განაჩენის გაკვეთილს მენშევიკები? შეურიგდებიან თავის საბედისწერო დამარცხებას, თუ განაგრძობენ მშრომელთა ისედაც დატანჯულ ტანზე პროვოკატორულ ექსპერიმენტებს, მის ნერვებს და წამებას?

ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის მუშაობა თბილისში

თბილისის მუშათა კლასის და დარაზმული მძიმე საბინაო კრიზისის გამო, საბჭოთა ძალაუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე, აუცილებელი შეიქნა კომისიის დანიშვნა მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. სამწუხაროთ, პირველ კომისიას სამი თვის განმავლობაში არაფერი არ გაუკეთებია და დაჰკარგა უნაყოფოდ მეტად ძვირფასი დრო.

კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიერ დანიშნულმა მეორე კომისიამ რომელიც, განსაკუთრებით მუშებისა და პარტიულ ამხანაგებისგან შესდგებოდა, ენერგიულად მოკიდა მუშაობას ხელი და მოკლე ხანში—სამი თვის განმავლობაში დაასრულა დიდი მუშაობა.

მუშაობის წესი რიგი იყო შემდეგი: ქალაქის ყველა საუკეთესო სახლები დათვალიერებულ იქნა მუშათა კომისიის მიერ და ანგარიშზე მიღებული მუშებისათვის.

შემდეგ კერძო ბინების შემჭიდროების საშუალებით დაარსდა საგანგებო ფონდი 5,000 ოთახიდან და იქ შესახლეს მცხოვრებლები იმ სახლებიდან, რომლებიც აღებული იყო მუშებისათვის.

გარდა ამ ძირითად ამოცანისა მუშათა კომისია ასახლებდა მუშებს ბურჟუაზიის საუკეთესო ბინებში და ისინი კი გადაჰყავდა უფრო ცუდ შენობებში.

მუშათა კომისია შეუდგა აგრეთვე მუშების ბავშვებისათვის, ბავშვთა სახლებისა და ბაღების მოწყობას.

„მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისიის" მუშაობა ციფრებით გამოიხატება ამ ნაირათ:

მოწყობილია 71 მუშათა სახლი 2860 ოთახით. შესახლებულია მუშათა სახლებში 2500 ოჯახი 5500 სულით.

ნაწილობრივათ შესახლებულია ბურჟუაზიის საუკეთესო ბინებში 1.500 ოჯახი 4.000 სულით.

ამ ნაირათ მუშების საერთო რიცხვი რომლებმაც მიიღეს საუკეთესო ბინები აღწევს 4,000 ოჯახს 9,500 სულით. პარტიის თბილისის კომიტეტმა და „მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელმა კომისიამ" ყურადღება მიაქცია მუშების საშინელ მდგომარეობას ეგრედ წოდებულ მადათოვის კუნძულზე. ეს კუნძული, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში მდ. მტკვრის ორს შესართავს შუა წარმოადგენს მუშათა კლასის სამარეს. საცხოვრებელი სადგომები წარმოადგენენ ფიცრებიდან სახელდახელოთ შეკოწიწებულ თავლებს, უიატაკოთ და ცუდი სახურავით, რის გამოც წვიმის დროს შიგ წყალი ჩადიოდა.

არავითარი კანალიზაცია ან სხვა რაიმე გაუმჯობესებული პირობები საცხოვრებლით არ არსებობდა.

ყველა ამას ემატებოდა ის, რომ კუნძული გადაჭედილი იყო მთელი ქალაქის ნაგავით გადასაყრელ ადგილათ. ქალაქის ნაგავის საშინელი სუნი მუშების ცხოვრებას ნამდვილ ჯოჯოხეთად აქცევდა. თუ ამას მივუმატებთ მდ. მტკვრის შესართავიდან დამდგარ ჭაობს მილიარდი კოღოებით, რომლებიც ავრცელებდნენ ტროპიკულ მალარიას და დღეში [illegible] 2—3 ათ. წარმოიდგენთ ამ საშინელების ცოტა თუ ბევრათ სრულ სურათს.

[illegible] თვეებში ყოველ დღიური სიკვდილი ოცამდე აღწევდა.

ამ საკითხს კომისიამ მიაქცია ძალიან სერიოზული ყურადღება და დაადგინა გადმოასახლოს იქიდან ყველა მუშები, მოსპოს ყველა საცხოვრებელი შენობები და [illegible] ყველგან ვინც უნდა იქნეს ის ამ კუნძულზე დასახლება. კომისიის საუკეთესო ძალები ამ საქმეზე გადასროლილი და ორი კვირის განმავლობაში კუნძული გაასუფთავეს, იქიდან გადმოასახლეს მუშების 110 ოჯახი 600 სულით.

ქალაქის მეორე ავადმყოფიანი ადგილი იყო სამურთალო—დასახლებული განსაკუთრებით მუშებით. ამ ადგილზე ზაფხულზე ჯარი იდგა და ყველგან გაჟღენთილი იყო თხრილები და სხვ. ამ ჟამათ ყველა ეს თხრილები და ჩაირკავებული ადგილები გადაქცეულია ჭაობებათ, წყაროთ მალარიისა, რომლებმაც მიიღო განსაკუთრებული მწვავე ფორმა. პირველათ კომისიის გადაწყვეტილებით უნდა გადაესახლებინათ მუშები ქალაქში, მაგრამ განმეორებითი გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ადგილის გაჯანსაღება შეიძლება ჭაობის დაშრობით და ამისათვის მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. ზოგიერთი მუშების ოჯახები, რიცხვით 20—30 თავის სურვილით უკვე გადასახლდნენ უკეთეს ბინებზე ქალაქში.

თავის მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში მუშათა კომისია ეყრდნობოდა განსაკუთრებით მუშებსა და პარტიულ ორგანიზაციებზე. მუშების მორალური დახმარება იყო ძალიან დიდი და მხოლოდ ამ დახმარებით, თითონ მუშების აქტიურ მონაწილეობის მეოხებით, მუშათა ბინების მდგომარეობის გაუმჯობესებაში, კომისიამ შესძლო შედარებით მოკლე ხანში, დაესრულებინა ვეებერთელა ნაყოფიერი მუშაობა და გადალახა ყველა დაბრკოლებები, რომლებიც ასე ბევრია წვრილ ბურჟუაზიულ თბილისში.

მსხვილ ბურჟუაზიით დაბინავებულ ზოგიერთ სახლების ადგილას მუშებს ბრძოლით უხდებოდათ, რადგანაც მათ არ უნდოდათ დაეტოვებინათ თავის თბილი ბუდეები.

კომისიის დიდი დამსახურებაა აგრეთვე მუშათა სახლების ავეჯეულობით უზრუნველყოფა.

თბილისის მუშების 75 პროცენტს ჰქონდა [illegible] მოწყობილობის საგნები.

კომისიის დადგენილებით რომელიც შემდეგ დაადასტურა საქართველოს რევკომმა მუშების ავეჯეულობით უზრუნველსაყოფათ მუშათა სახლებიდან გადმოსახლებულ ბურჟუაზიის ზედმეტი ავეჯი დატოვებულ და ამით მოთხოვნილების 25 პროც. დაკმაყოფილდა. კომისიის მეორე დადგენილების თანახმად, ქალაქის რევკომის და პარტიის თბილისის კომიტეტის დასტურით, კომუნალურ მეურნეობის ავეჯეულობის ყველა საწყობი გადაეცა მუშათა სახლებისათვის და გადაეცა მუშებს [illegible] ბილობა. ამის გარდა მუშების ავეჯით [illegible] უზრუნველსაყოფად შეუკვეთეს 1500 სკამი რომლების ნაწილი უკვე მზათ არის და ნაწილდება მუშათა სახლებს შორის.

ბინის საკითხის გარდა, მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელმა კომისიამ სერიოზული ყურადღება მიაქცია კულტურულ-აღმზრდელობით მხარეს.

ყოველ მუშათა სახლში გახსნილია ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომლებსაც აწვდის თბილისის კომიტეტის აგიტ-განყოფილება საჭირო ლიტერატურას.

ყოველ სახლში ბავშვებისათვის გამოყოფილია 1 ან 2 საერთო ოთახი, სადაც ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით განზრახულია ბავშვების აღზრდის საქმე დაყენებული იქნეს სათანადო სიმაღლეზე.

თბილისის კომიტეტის აგიტ-განყოფილების მიერ მიღებულია ზომები ყოველ რაიონში ყოველ კვირეში კონცერტ-მიტინგის მოსაწყობათ მუშათა სახლების მცხოვრებთათვის, სადაც რასაკვირველია იქნებიან ის მუშებიც, რომლებიც არ ცხოვრობენ მუშათა სახლებში.

მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელმა კომისიამ კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიონებში გააკეთა მოხსენება.

კომისიის მოქმედება იცნეს სრულიათ დამაკმაყოფილებლათ.

გრ. არუთინოვი.

სახელმწიფო კონტროლი*)

ჩვენი სახელმწიფო კონტროლის, მუშურ გლეხური ინსპექციის მუშაკთა ყრილობა დასრულდა. მის მიზანს შეადგენდა გათვალისწინება უკვე გაკეთებულის და მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების, გამორკვევა საკონტროლო პრაქტიკის ადგილებზე, მეტი კავშირის შეტანა პერიფერიისა ცენტრის დამოკიდებულებაში, გათვალისწინება იმ დამაბრკოლებელი მიზეზების, რომლებიც ბუნებრივათ თან სდევენ ყოველ ახალ დაწესებულებას.

მუშურ გლეხური ინსპექცია ცდილობს, ის აღწევს თავის მიზანს საბჭოთა დაწესებულებების საერთო სისტემაში იმდენათ, რამდენათაც შეძლებს თავის მუშაობით დააინტერესოს მუშათა და გლეხთა ფართო და აქტიური მასსები, რამდენათაც ის მოახერხებს გახადოს ეს მასსები კონტროლის აქტიურ სუბიექტათ, ჩაიბას ისინი თავის მუშაობაში. და სწორეთ ეს უმთავრესი მხარე ინსპექციის ორგანიზაციის კოჭლობს ჩვენში, როგორც ეს გამოირკვა ყრილობაზე. ჩვენ უნდა [illegible] ის [illegible] ინდიფერენტიზმი, ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების მიმართ, რომელიც თავს იჩენს მუშათა პროფკავშირების მხრივ. ეჭვს გარეშეა პროფკავშირებს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე აქვთ გასაკეთებელი, მათი მოღვაწეობა დღეს, იმ ადგილის გამო, რომელიც მიჩნეულია აქვთ მათ მეურნეობაში და სახელმწიფოში, რთულია და მრავალ მხრივ; ცხადია ამიტომ, რომ მათი ძალებიც მთლათ ამ მუშაობაშია ჩაბმული, მაგრამ საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ჩვენი საწარმოო კავშირები ვერასოდეს თავზე ვერ აიცილებენ იმ დარგსაც თავის მუშაობისას, რომ [illegible] ინსპექციისათვის დახმარებას, მისი მუშაკთა თავის წევრების კადრების გამოყოფას და ადგილობრივ, ყველა საწარმოო და დაწესებულებებში, ე. ი. სწორეთ იქ სადაც ვრცელდება მათი გავლენა, ინსპექციის ორგანოების მოწყობის პოპულარიზაციის და აქტიურათ ხელის შეწყობას. ეს ითქმის ყველა ორგანიზაციაზე, განსაკუთრებით კი მუშათა პროფსაწარმოო კავშირებზე, რომლებიც მარტო თავის მდგომარეობით ყველაზე უფრო მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ მუშათა ინსპექციას.

ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის მოუწყობლობის იყო [illegible], და ერთი რამოდენიმეთ დღესაც ფუნქციათა ფორმალობის [illegible] და ამ ნიადაგზე აღმოცენებული უფრო [illegible] შორის „შებლა-შემოვლა". ამ საერთო სენს ჩვენი სახელმწიფო ორგანოების კონსტრუქციული ხანისას ვერც ჩვენი ინსპექცია ასცდებოდა.

ამ საერთო თვალსაზრისით ბუნებრივია კამათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ყრილობაზე იმ კითხვის შესახებ, თუ როგორია ინსპექციის ადგილი სხვა სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემაში: ეკუთვნება ის ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც მისი ერთი განყოფილება, მაგრამ ხელშეუხებელი თავის სპეციალური ფუნქციების ფარგლებში, თუ ის არ შეადგენს ნაწილს ამ ორგანოსას და ექვემდებარება უშუალოთ სათანადო კომისარიატს ე. ი. თავის ცენტრს. დიდი უმრავლესობით ეს კითხვა გადაიჭრა ინსპექციის ადგილობრივ მუშაკთა ყრილობაზე უკანასკნელი აზრით და უნდა ითქვას რომ ადგილობრივი პრაქტიკა უსაფუძვლოთ არ აძლევდა ასეთ პასუხს დასმულ კითხვაზე. საქმე იმაშია, რომ ინსპექცია სახელმწიფოს ის თვალი და ყურია რომელმაც ყოველივე უნდა დაინახოს, ყოველისფერი გაიგონოს და ეს ყველგან, სახელმწიფოებრივი აპარატის [illegible] კუნჭულებშიაც კი. თავის თავისი ბუნებით ეს მუშაობა უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი არა მარტო თავის სპეციალური ფუნქციის ფარგლებში, არამედ სხვა ორგანოებთან ფორმალური დამოკიდებულების მხრივაც და ეს მით უმეტეს და განსაკუთრებით საჭიროა დღეს ჩვენში, როდესაც სახელმწიფოებრივი აპარატის ჯერ კიდევ დაუწყნარებლობის დროს, ადვილი შესაძლებელია ადგილობრივი ადმინისტრატიულ ორგანოს განყოფილებათა ფუნქციონალურ ურთიერთობამ გავლენა მოახდინოს [illegible] მის მუშაობაზე, რამდენი რეზოლუციებიც არ უნდა დაიწეროს ინსპექციის სარევიზიო საქმეების სრულიათ დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზე.

ჩვენი ინსპექციის მოღვაწეობის ერთი [illegible] საკითხს შეადგენს გამოცდილ მუშაკთა, დახელოვნებულ ინსპექტორების სიმცირე და ამით ის [illegible] ჩვენი აღმასრულებლობის ყველა დარგების სიძნელეს. ცხადია ამიტომ, რომ ხელმძღვანელ მუშაკთა საკითხი კადრების შექმნა, მთელი სიმწვავით წამოჭრილია კომისარიატის წინაც. და გადაწყვეტილება ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის შესახებ ფრიად თავის დროულია.

მუშურ გლეხურ ინსპექციას მეტათ რთული და საპასუხისმგებლო საქმე აქვს დაკისრებული საბჭოთა სახელმწიფოში, მძიმე საქმის გაკეთება ჩვეულებრივი ადმინისტრატიულ-უწყებრივი ცენტრიდან „თითის დაქნევით" შეუძლებელია. ეს ახალი სისტემა სახელმწიფო კონტროლის დაფუძნებულია მუშათა და გლეხთა თვითმოქმედებაზე და აქტიურათ კონტროლის საქმეში ჩარევაზე. ეს არის უმთავრესი და ჩვენი მოვალეობაა, [illegible] ყველა პროფკავშირების და პოლიტიკური ორგანიზაციების ხელი შეუწყონ ამ ყველაზე უფრო არსებითი მხარის შესრულებას ჩვენი ინსპექციის მოწყობაში, რათა ის დადგეს ბუნებრივათ თავის მოწოდების სიმაღლეზე.

ნ. დონძე.

მენშევიკების მიერ განზრახული საყოველთაო გაფიცვა

თბილისის რკინის გზის სახელოსნოების სხვა და სხვა ცეხში და თბილისის [illegible] 1 ნოემბრის დილიდანვე რაღაც საეჭვო ჩურჩული გაისმოდა. მალე გამოირკვა, რომ ზოგი მეისრე და ორთქლმავლების ბრიგადები თავიანთ ადგილზე არ იყვნენ. გამოირკვა ისიც, რომ სადღეისო პურის ულუფა არ დარიგებულა თუმცა სასურსათო ორგანოებს პური საკმაო აქვთ ამ ჟამათ. 10 საათზე მენშევიკებმა ჩამოიარეს ყველა ცეხები და საერთო კრებაზე მოუწოდებდნენ დაბალი ხმით ყველას „[illegible] ცეხში", ვითომც პურის მიუღებლობის გამო მოსალაპარაკებლათ. კრებას აუარებელი მუშა მოაწყდა. [illegible] მენშევიკი, უპირატესათ ჩვენს მიერ ამას წინეთ გათავისუფლებულნი, დატრიალდნენ, ჯერ მუშების ეკონომიურ გაჭირვებაზე ჩამოაგდეს სიტყვა, შემდეგ კი „მუშათა დელეგაციის" დაკავებაზე გადავიდნენ და ბოლოს რეზოლუცია წარუდგინეს კრებას, რომელშიაც საბჭოთა მთავრობას გულისწყრომა და პროტესტი ეცხადებოდა „დელეგაციის", ყველა პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლების და დემოკრატიული თავისუფლებების შემოღების მოთხოვნით. მიტინგის შესახებ ცნობა მიუვიდა კომპარტიის იმ რაიონის ორგანიზატორს, რომელიც მყისვე გაეშურა სახელოსნოებისკენ. მენშევიკებმა შეეცადნენ არ მიეცათ მისთვის სიტყვის საშუალება, მაგრამ კრებამ ბოლოს მოისმინა დიდი ყურადღებით. მას ბარათები მოუვიდა მუშებისგან—ჩვენ გვითხრეს პურის შესახებ უნდა მოვილაპარაკოთ, და აქ კი რაღაცა დელეგაციაზე, პოლიტიკურ ტუსაღებზე და პროტესტებზე გველაპარაკებიან. როცა კრება მიხვდა მენშევიკების პროვოკაციული განზრახვას, სულის კვეთება უცბათ შეიცვალა. მენშევიკებმა კათედრას მიაშურეს, მარა მუშებმა ზოგი უკანვე დააბრუნეს, ესტრადაზე აიყვანეს, რათა თითონ მათ დაეთვალათ ხმები, თუ რომელ რეზოლუციას მიემხრობოდა კრება. ჩვენი ორგანიზატორის რეზოლუცია თითქმის ერთხმათ იქნა მიღებული, მენშევიკების რეზოლუციას კი არც ერთმა არ მისცა ხმა. მიტინგმა აირჩია უპარტიო მუშებისაგან კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს თუ რა მიზეზით არ დარიგდა იმ დღეს პური, შემდეგ „ურა"-ს ძახილით ყველა გაეშურა დაზგებისაკენ მუშაობის გასაგრძელებლათ. თუმცა გვიან იყო, მარა მუშებს სურდათ ხაზი გაესვათ, რომ მათ განზრახვა არ ქონებიათ გაფიცვის მოხდენის. ასეთი მარცხი იგემეს მენშევიკებმა მთავარ სახელოსნოების მუშებში.

თბილისის კვანძის ხაზზე მოძრაობა შეფერხდა რამოდენიმეთ, ბათუმის სამგზავრო მატარებელმა დაიგვიანა ერთი საათით, რადგან ზოგი მეისრე არ გამოსულა სამუშაოთ და რადგან ლიანდაგზე აქა-იქ ვაგონები აღმოჩნდნენ [illegible] ადგილზე.

მენშევიკების აგენტები დაძვრებოდნენ სხვა და სხვა რაიონებში, მოუწოდებდნენ მუშა მოსამსახურეებს მიეტოვებიათ სამუშაო, მათი სტუმრობა აღნიშნული იყო ზოგ ფაბრიკა ქარხნებში, საწყობებში. ყველგან ცივი უარი [illegible], არც ერთი მუშა არ აყოლია მათ, არც ერთი ქარხნის მუშაობა არ შეჩერებულა. ღამით შეიარაღებული მენშევიკები ეწვივენ ელექტრონის სადგურს მელიქ-აზარიანცის სახლში, მაგრამ ამაოთ. ინახულეს აგრეთვე ტელეგრაფის სადგური, მაგრამ აქაც ვერას გახდნენ.

რკინის გზის ხაზზე ცდილობდნენ გაფიცვის გამოწვევას (ხაშურის მიმართულებით), მაგრამ მოსული ცნობებით იქ ერთი გამოძახილის ღირსიც ვერ გამხდარან.

დაჭერილია პროვინციიდან დეპეშა, რომელშიაც ეკითხებიან აქაურ მენშევიკებს, დავიწყოთ თუ არა გაფიცვა.

სჩანს საყოველთაო გაფიცვის გამოწვევა გადაწყვეტილი ქონებიათ, მარა პროვინცია სდუმს, ყველა წყნარათ არის, მოუსვენრობის ალში იწვის მხოლოდ გაკოტრებული მენშევიკები.

რეზოლუცია

1 ნოემბრის კრებაზე დარჩენილი მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშების უმრავლესობა კიცხავს მენშევიკების პროვოკაციულ გამოსვლას, რომლებმაც მოატყუილეს მუშები და კრებაზე, რომელსაც ვითომ უნდა გადაეწყვიტა მათ მიერვე განზრახ შეფერხებული პურის თავის დროზე მიწოდების საქმე, ცდილობდნენ მუშებისათვის თავზე მოეხვიათ თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნანი, ვითომ თბილისის პროლეტარიატისაგან არჩეულ რომელიღაც დელეგაციის დაპატიმრების საკითხის წამოყენებით.

მუშების დიდი უმრავლესობის საერთო კრება აცხადებს, რომ მათ არავითარ დელეგაციაზე წარმოდგენა არა აქვთ და ასეთი მათ არ აურჩევიათ.

მუშები აღშფოთებულნი არიან მუშათა კლასის გამყიდველების მხრით მსგავსი პროვოკაციული გამოსვლით და მოითხოვენ პროვოკატორ—მენშევიკების თავის წრიდან დაუყონებლივ განდევნას, რომელნიც ცდილობენ მუშათა წრეებში რღვევა შეიტანონ. მუშები ყველა მშრომელებს მოუწოდებენ მედგარი შრომისაკენ კომუნისტური იდეების საბოლოო გამარჯვებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მუშები დარწმუნებულნი არიან, რომ, მიუხედავად დროებითი გაჭირვებისა, ისინი შესძლებენ თავის მდგომარეობა გააუმჯობესონ და გამარჯვებულნი გამოვიდენ იმ ბრძოლიდან, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის კაპიტალიზმის უღლიდან.

ხოლო ყველა იმათ, ვინც მათ ხელს შეუშლის თავის პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებლობაში, ისინი დაუნდობლად მოსპობენ თავის [illegible] გზაზე. მუშები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მოთხოვნა, მენშევიკების გაძევების შესახებ, იქნება ასრულებული.

ძირს მენშევიკები—პროვოკატორები. შორს მუშათა კლასის გამყიდველები. გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთობას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას—მშრომელთა ინტერესების ერთად ერთ გამომხატველს.

საბჭოთა რუსეთის პრესა

თეთრგვარდიელების ოინები.

ცნობილმა კადეტმა, [illegible] თეთრგვარდიელმა, თავად დ. შახოვსკოიმ, რომელიც იყო ზაფხულში პეტროგრადში აღმოჩენილ შეთქმულების ერთი მთავარი მონაწილეთაგანი, გახსნილად ამას წინათ საზღვარგარეთელ თეთრგვარდიელების პრესაში, რომ [illegible] მიაყენა საგრძნობი ზიანი შეთქმულების ორგანიზაციას. შახოვსკის სიტყვით თეთრგვარდიელებმა გადასწყვიტეს [illegible] საბჭოთა ხელის უფლება „შინაური ძალების" საშუალებით და [illegible] „ყველა ანტი-ბოლშევიკურ ძალებს".

ჩვენ კარგათ ვიცით თუ როგორ იბრძვიან თეთრგვარდიელები „შინაური ძალების" საშუალებით. ჩვენ ვნახეთ ამ ბრძოლის ნიმუშები 1918 წლის ზაფხულში, როდესაც [illegible] ჩეხო სლოვაკების გამოსვლა და [illegible] შეიარაღებული აჯანყებები. თავის ხნის ყველა ჯურის თეთრგვარდიელები ხელს უწყობდნენ ამ ინტერვენციას [illegible] მოწყობით, თავზე დასხმით, ხიდების და რკინის გზების აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით და სხვ.

ახლა რუსეთს ემუქრება შიმშილი. მისი სუსტი [illegible] სასურსათო მდგომარეობა. და ყველა თეთრგვარდიელების ცდა [illegible] ესერებიდან - მონარქისტებამდე მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუშალონ საბჭოთა ხელის უფლებას შიმშილთან ბრძოლაში.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ესერი ანტონოვის და სხვა თეთრგვარდიელთა ატამანების ბანდები გულმოდგინეთ სწვავდნენ და ანგრევდნენ სასურსათო საწყობებს იმ ადგილებში, სადაც ისინი დათარეშობდნენ. იგივე ბანდები ძალიან უშლიდნენ ხელს სამიწათმოქმედო სამუშაოების წარმოებას. სწორეთ [illegible] სასურსათო [illegible] მახნო.

ჩვენ მივიღეთ ცნობა პეტერბურგის ტელეფონის სადგურის ცეცხლის გაჩენის შესახებ. ცეცხლი განზრახ იყო გაჩენილი. და ასეთი ცეცხლის წაკიდება შეიძლება იყოს მხოლოდ თეთრგვარდიელების საქმე, ტელეფონი ეხლა აუცილებლად საჭიროა დიდი ქალაქის ცხოვრებაში. კერძოთ ტელეფონი საჭიროა სასურსათო ორგანოების ჩქარი და სწორი მუშაობისათვის. რომ დაანგრიო ტელეფონის მუშაობა დიდ ქალაქში, ეს ნიშნავს უფრო გაართულო ყველა სახელმწიფო ორგანოების მუშაობა, ძალზე გაძნელო ხალხის ცხოვრების პირობები.

და სწორედ ეს უნდათ თეთრგვარდიელებს, რომლებსაც შიმშილის საშუალებით, [illegible] ცხოვრების შეჩერების გზით, უნდა დაამხონ რუსეთში მშრომელთა ხელისუფლება.

ყველა თეთრგვარდიელები გამოუკლებლივ—მონარქისტებიდან მენშევიკებამდე [illegible] უცხოეთის შეიარაღებულ ინტერვენციაზე. დიდი ხანი არ არის რაც [illegible] იდგა ჩვენ წინ. [illegible] ინტერვენციის საშიშროება [illegible], რადგანაც საბჭოთა ხელისუფლების მტრები [illegible] ხელისუფლების [illegible], რკინის გზების, [illegible], სასურსათო კომიტეტების [illegible] და სხვ—ყველა ეს [illegible] ჩვენ ბრძოლას. და სწორეთ [illegible] თეთრგვარდიელებს. [illegible] თეთრგვარდიელებს [illegible] ის [illegible] მთელი [illegible] თავის [illegible].

რუსეთის მტრები იწყებენ ახალ [illegible], რომ [illegible] რუსეთის მშრომელი ხალხი: თეთრგვარდიელები [illegible] ყოველ გვარი ბოროტმოქმედებით, რომ მიაღწიონ ამ მიზანს. ამიტომ რუსეთის მშრომელებმა უნდა კიდევ უფრო მტკიცეთ შეკრან თავის ფრონტი და ფხიზლად ადევნონ თვალი ყოველ გვარ ოინებს და უცხოეთ კაპიტალის [illegible] დაქირავებულების შეთქმულებებს, რომ თავის დროზე თავიდან აიცილონ მათი ისეთი ბოროტმოქმედებები, როგორც პეტერბურგის ტელეფონის სადგურის ცეცხლის გაჩენაა.

თეთრგვარდიელები მზათ არიან ყოველ გვარ ბოროტ მოქმედებაზე მაგრამ სწორეთ ის გარემოება, რომ ისინი ირჩევენ ამ გზას და გაურბიან პირ და პირ ბრძოლას, იმას გვიჩვენებს, რომ ხალხის მასსებთან კონტრ-რევოლუციამ დაკარგა ყოველგვარი კავშირი. სასაცილოა იმაზე ფიქრი, რომ შესაძლებელია მშრომელთა ხელისუფლების დამხობა აფეთქებისა და ცეცხლის საშუალებით. თეთრგვარდიელების ბოროტმოქმედებანი, რომლებიდანაც კიდევ უფრო დაიტანჯება მშრომელი ხალხი, ხოლო [illegible] გააფართოვებენ და გააღრმავებენ უფსკრულს მათ და ხალხს შორის.

„პრავდა".

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთ-პეტლიურას ბანდები.

მოსკოვი. 2 ნოემბერი (რადიო). გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან.

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია: მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთის მთავრობას არა ერთხელ [illegible] რ. ს. ფ. ს. რ. და საბჭოთა უკრაინის მთავრობათა მითითება, მის ტერიტორიაზე პეტლიურას ბანდების არსებობის შესახებ, 25 ოქტომბერს მოსაზღვრე ადგილებში, რუსიატინის რაიონში მოხდა ამბები, რომელნიც ადასტურებენ საბჭოთა მთავრობების განცხადების სიმართლეს. ღამით 27 ოქტომბერს მთელ რიგ ბანდებმა, ტყვიის-მტყორცნელებით კარგად მომარაგებულებმა, გადმოლახეს საზღვარი რუსიატინის რაიონში და ავაზაკური თავდასხმა მოახდინეს მახლობელ სოფლებზე. ბანდებმა მიაღწიეს სოფელ შარიცამდე სადგურ იარმოლინცის ახლოს, საიდანაც განდევნილი იქნენ. 28 ოქტომბერს საზღვარზე იმყოფებოდა ბანდა 1500 კაცისაგან შემდგარი, რომელიც პოლონეთის მხრიდან მოვიდა. არის ცნობები საზღვრებთან სხვა ბანდების მოახლოვებაზე. ბანდები მიდიან მოსაზღვრე ადგილებში სამხედრო წესით პოლონეთის რკინისგზებით, პოლონეთის ვაგონებით. ეჭვი არ არის, რომ ისინი მოქმედებენ პოლონელ ხელისუფალთა მფარველობის ქვეშ. ბანდების ცდა ალაგვეთილი იქნება წითელი ლაშქრის ძალებით, მაგრამ პოლონეთის მთავრობამ პასუხი უნდა გაგვცეს თუ რანაირად მოეწყო ბანდები მის ტერიტორიაზე და შემოესივნენ საბჭოთა უკრაინას.

ქრონიკა

◆ **თფილისის განტვირთვა.** თფილისის განტვირთვისთვის დეკრეტის ძალით თფილისიდგან გადასახლებულ პირთა სიები მზათ არის ყველა კომისარიატებში, გარდა 8, 9 და 11 და 12 კომისარიატის, სიები ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული, დანარჩენ კომისარიატებში უკვე გამოქვეყნებულია. განტვირთვის განხორციელების მუშაობას ხელს უშლის მცხოვრებლების მიერ შეტანილი ბევრი საჩივრების განხილვა.

— **პროფესიონალურ ჰიგიენის** დარგიდან. ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველო წარადგენს ექსპერტს ყველა რკინის გზებიდან: კარტოგრამებს, მანქანებს და [illegible], მუშათა ცხოვრების მასალების დამზადების და სხვა ნახატები მოგვცემენ აღნიშნულობის დეტალურ სურათს, რომელსაც აქვს მნიშვნელობა აზიისა და ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებაში.

◆ **კომისარიატის გაუქმება.** თფილისის მე 18 კომისარიატი გაუქმებულია და შეუერთდა პირველ კომისარიატს.

◆ **ტყის ხანძარი.** 22 ოქტომბერს გორის მაზრაში ცეცხლი გაუჩნდა კავთის ხევის ტყეს, ცეცხლი გავრცელდა 10 დესეტინა ტყეზე. ცეცხლის ჩასაქრობად მობილიზაციით გამოიწვიეს მახლობელი მცხოვრებნი და გორიდგან გაიგზავნა ცეცხლის მქრობელი ინსტრუქტორი. (რომელმაც ახლა გაათავა ცეცხლის მქრობელთა კურსები თფილისში) მცხოვრებთა ენერგიულ მოქმედებით ცეცხლი ორ დღეში ჩააქრეს.

◆ **თესვის კამპანია.** მთავრობის მიერ ცენტრალურ თესვის კომისიისადმი მიცემული მილიარდ მანეთის დასამატებლად მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მიღებულ ფულის ნაწილის მაგივრად გაგზავნილია [illegible] 20 ვაგონი სათესლე პური.

◆ **სავაჭრო-სამრეწველოების შენობათა აღრიცხვა.** საბჭოთა სახლების მართველობის მიერ დაწესებული თფილისის სავაჭრო-სამრეწველო შენობების აღწერა დამთავრებულია. აღწერილია 2,000 შენობა.

---

*) სადისკუსიო.

◆ **ცეცხლი ტყეში.** ტყის ცეცხლის ჩასაქრობათ ცხინვალის რაიონში დუშეთის და თიანეთის მაზრების საზღვრებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გაგზავნილია ორი ცეცხლის ჩამქრობი ინსტრუქტორი სატვირთო ავტომობილით და ჩასაქრობი ინსტრუმენტებით. ახლა სოფლის და უჯარმის ტყეების საგარაკოში და სოფ. საგარეჯოს ახლო ტყეს ცეცხლი გაუჩნდა. ტყის ცეცხლის ჩასაქრობათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ნება დართო ადგილობრივ რევკომებს მოახდინონ 14 ვერსის ირგვლივ იმ რაიონების მცხოვრებთა მობილიზაცია, სადაც მოდებულია ცეცხლი.

საბჭოთა მართლმსაჯულება

1921 წ. ოქტომბრის 18-ს ს. ს. ს. რ. უზენაეს რევ. ტრიბუნალმა საჯარო სხდომაზე განიხილა საქმე ბრალდებულ ანდრია გიორგის ძე ვეშაგურის, რომელსაც ბრალდება კონტრ-რევოლუცია და სხვა ბოროტ-მოქმედებანი, რომელიც გამოიხატა [illegible] ულმობელი და სასტიკი მოქცევაში [illegible], საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაწეულ აგიტაციაში და ნება დაურთველათ იარაღის შენახვაში და მიიღო რა მხედველობაში, რომ ყველა ეს გარემოება სასამართლოს გამოძიებით დამტკიცებულ იქმნა, დაადგინა: ბრალდებულ ანდრია გიორგის ძე ვეშაგურს მიესაჯოს იძულებითი საზოგადო სამუშაო ხუთი წლით, თავისუფლების აღკვეთით.

სტატისტიკის მუშაკთა საყურადღებოდ

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებობს განსაკუთრებული კომისია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტატისტიკურ ცოდნის გავრცელებას როგორც საზოგადოების ფართო წრეებში, ისე საქართველოს პრაქტიკულ მოღვაწეთა და განსაკუთრებით კი პროვინციულ თანამშრომელთა შორის. მუშაობის საჭიროება ხაზგასმულია ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სტატისტიკის ადგილი ჯერ ისევ ცარიელია, არ მოიპოვება ქართულ ენაზედ არც ერთი სერიოზული ნაშრომი სტატისტიკის დარგში, არც ორიგინალური და არც თარგმანი; სტატისტიკა ჯერ კიდევ არ გამოსულა ვიწრო სპეციალისტთა კაბინეტიდგან ფართო საზოგადოებაში, სადაც სტატისტიკის საჭიროებისა და მნიშვნელობას ან ნაკლებ იცნობენ ან ძალზედ სრულიად ყალბი წარმოდგენა აქვთ, სტატისტიკა კი [illegible] მერყეობის წყალობით. მეორე მხრით საქართველოს პრაქტიკულ მოქმედებისათვის საჭიროება აუცილებლობას წარმოადგენს თავის თანამშრომელთა გაწრთვნა-დახელოვნება სპეციალურ დარგში, ხოლო საზოგადოებაში, როგორც თავის დაკვირვების ობიექტზე, ნათელი აზრის შეტანა სტატისტიკის შესახებ. სახელმწიფო სტატისტიკა მხოლოდ ეხლა ეწყობა ახალ ნიადაგზე, იგი სულ ახალი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. საქართველოს სტატისტიკას არა აქვს პრაქტიკულ მოღვაწეობის ტრადიცია და არც ქართული აზროვნება აქცევდა ამ საგანს დიდ ყურადღებას. ყველაფერი ამ დარგში ახლად არის შესაქმნელი საქართველოს ნიადაგზედ.

დასახული მიზნის მისაღწევად კომისიას განზრახული აქვს გამოსცემა ქართულ ენაზედ მთელი რიგი სპეციალურ სტატისტიკური შინაარსის ნაწარმოებთა, განსაკუთრებით ფართო წრეებისათვის მისაწვდომი, პოპულიარული ხასიათის წიგნაკებისა, როგორც ორიგინალურის, ისე ნათარგმნებისა. ამასთან ერთად, კომისია თავის უპირველეს დანიშნულებათ სთვლის სპეციალურ სტატისტიკური ტერმინოლოგიის დამუშავებას, რომლის საჭიროებასაც მწვავედ განიცდის თვითეულ [illegible] ყველა, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია ამ დარგში მუშაობისა.

კომისია გრძნობს რა მთელ სიმძიმეს ამ საქმისა, დარწმუნებულია, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების დახმარებით და სტატისტიკის დარგში დახელოვნებულ, ცოდნით და განსწავლულ პირთა ერთობლივი შრომით.

ამასთანავე კომისია მიმართავს თხოვნით ყველა მათ, ვისაც ახლო კავშირი აქვთ სტატისტიკურ დაწესებულებებთან და პრაქტიკულ სტატისტიკურ მოღვაწეობასთან—მოაწოდონ მას სპეციალური ნაშრომები, როგორც ორიგინალური ისე თარგმანები უცხო ენებიდან და სხვა. აღნიშნულ მიზნისათვის გამოსადეგი მასალები.

ყოველ გვარი დახმარება მიღებულ იქნება კომისიის მიერ უდიდესი მადლობით, ხოლო შრომა—შესაფერისათ დაჯილდოვებული.

მისამართი: ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ერისთავის ქუჩა, № 4.

კომისიის წევრები: ლ. კარბელაშვილი, მ. ბესაშვილი, მ. ყოჩიაშვილი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა ყრილობა

მე-5 დღე, 26 ოქტომბერი.

დილის სხდომა

ამ. რუხაძე კრებას ხსნის დილის 11 საათზე.

ამხ. გაგლოევს შემოაქვს წინადადება: ვინაიდან დღის წესრიგში გათვალისწინებული ორი შემდეგი კითხვა: „მუშათა და გლეხთა ინსპექცია, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა" და „ინსპექციის როლი მუშათა და გლეხთა [illegible] და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ჩარევის საქმეში" უკვე ამოიწურა განხილულ საკითხების დროს, ეს საკითხები ჩაითვალოს მოსმენილათ და მოიხსნას.

კრება ეთანხმება ამ წინადადებას და გადადის შემდეგ საკითხზე: „მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა ფინანსიურ და საბიუჯეტო დარგში".

მომხსენებელი ამხანაგი სმირნოვი ვრცლად აცნობს ყრილობას როგორათ მოწყობილი ეს საქმე საბჭოთა რუსეთში, რა მუშაობა მოელის ინსპექციას საფინანსო-საბიუჯეტო დარგში.

ამხ. ჯაფარიძეს შემოაქვს წინადადება დაევალოს სახალხო კომისარიატს სასწრაფოთ გაუგზავნოს ადგილობრივ ინსპექციებს ცნობები, თუ რა თანხები გაეგზავნა პროვინციალურ დაწესებულებებს ცენტრიდან.

ყრილობა იღებს ამ წინადადებას და ირჩევს კომისიას (ამხ. სმირნოვი, ჯაფარიძე, ჩიხაია) სათანადო რეზოლიუციის შესამუშავებლად.

ამხ. ცინცაძე აკეთებს მოხსენებას „წინასწარი რევიზია" და ამხ. კანდელაკი „შემდგომი რევიზია".

კრება შესვენდა 3 საათზე.

საღამოს სხდომა.

სხდომა იწყება საღამოს 5 საათზე.

იხსნება კამათი მოსმენილ მოხსენებათა შესახებ.

ამხ. ჯაფარიძე ამტკიცებს, რომ შემდგომი რევიზია სავსებით უნდა სწარმოებდეს და მთავრდებოდეს ადგილზედვე. ანგარიშები უნდა რჩებოდეს ადგილზე, მათი ანგარიშვალდებულ დაწესებულებათათვის დაბრუნება შეუძლებელია, ხოლო კრედიტების სათვალყუროთ, რომ ცენტრში იცოდეს, ვის რა მისცეს დამატებით, ადგილობრივმა ინსპექციებმა უნდა მისცენ ხოლმე დაწესებულებებს მოწმობა, თუ რა თანხა აქვთ მათ გამართლებული.

ყრილობა იღებს მომხსენებლის ამხ. ჯაფარიძის რეზოლიუციას: I. ყრილობა ავალებს სახალხო კომისარიატს დააჩქაროს სარევიზიო წესდების შემუშავება საზოგადოთ და კერძოთ, ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ინსპექციათა კოლეგიების უფლება ვალდებულების განსაზღვრა: სხვათა შორის სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული, რომ 1) ამოკრებით რევიზიის წარმოება მიღებულია და 2) შემდგომი რევიზია სავსებით უნდა სწარმოებდეს და მთავრდებოდეს ადგილზედვე.

II. ადგილობრივ დაწესებულებათა ანგარიშების ნაწილობრივ შემოწმება და დაწესებულებათათვის დაბრუნება ცენტრში გამოსაგზავნათ ყოვლად მიუღებელია, როგორც რევიზიის და საზოგადო ინსპექციის შემაფერხებელი.

III. ადგილობრივი ინსპექცია ვალდებულია მისცეს ხოლმე ანგარიშვალდებულ დაწესებულებებს მოწმობა, თუ რა თანხის გამამართლებელი საბუთები აქვს მას წარდგენილი ინსპექციაში, რათა ამ მოწმობის საფუძველით იქნეს დაწესებულების კრედიტების ბრუნვის მეთვალყურეობა და ახალი კრედიტის გახსნა.

IV. ადგილობრივ ინსპექციებს ევალებათ ისეთი სისწრაფით აწარმოვონ შემდგომი რევიზია, რომ, რამდენათაც შესაძლებელი იქნება დაუახლოვონ იგი ხარჯების გაწევის მომენტს".

ამხ. ჩიქოვანი აკეთებს ვრცელ მოხსენებას: „ფაქტიური რევიზია", მომხსენებელი მარტო ამ რევიზიის ვიწრო ფარგლებში კი არ ლაპარაკობს, ეხება დაწვრილებით კონტროლის ისტორიას, სახელმწიფო კონტროლის მოქმედებას საქართველოში ყოფილ მთავრობის დროს, დღევანდელ ინსპექციის ღირსება-ნაკლულევანებას და შემდეგ მოხსენების მთავარ საგანს ფაქტიური რევიზიის შესახებ.

მოხსენება იწვევს აზრთა გაცვლა-გამოცვლას და შეკითხვებს, რომელზედაც მომხსენებელი აძლევს სათანადო განმარტებას.

სხდომა დაიხურა ღამის 1 საათზე.

27 ოქტომბერი

დილის სხდომა.

სხდომა იხსნება 1 საათზე

ამხ. გოროდუზიანი აკეთებს მოხსენებას: „საჩივართა ბიურო, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა". მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს ყრილობას ბიუროს დანიშნულებას, მისი მოქმედების ფარგლებს და დიდს მნიშვნელობას.

შემოდის მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელი სათანადო განმარტებებს იძლევა.

შემდეგ იხსნება კამათი, რომელიც თავდება 3 საათზე და კრება იხურება.

საღამოს სხდომა.

სხდომა იხსნება 1 ½ საათზე.

ყრილობას ესწრება პროფესიონალურ კავშირების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. ყურულაშვილი, რომელიც ესალმება ყრილობას და ვრცელი მოხსენებით მიმართავს მას ინსპექციის და პროფკავშირებს შორის ურთიერთობის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პროფკავშირების და ინსპექციის მიზნები ძლიან მჭიდროთ არის დაკავშირებული და დაწვრილებით არკვევს იმ გზას, რომლითაც უნდა იმოქმედონ მათ მშრომელი მასის საკეთილდღეოთ.

მოისმინა რა ამხ. ყურულაშვილის მოხსენება და ის განმარტებანი, რომელიც მან მისცა მრავალ შეკითხვებზედ, ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1. ვინაიდან პროფესიონალურ კავშირების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიზნები ერთგვარია, როგორც რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების სამშენებლოთ მიმართული, ცნობილ იქმნეს აუცილებლად და სავალდებულოთ პროფკავშირების მონაწილეობა ინსპექციის მუშაობაში;

2. რათა პროფკავშირების მონაწილეობა ინსპექციის ორგანოებში იქმნეს ხაზგასმული და ორგანიზაციული და შესაძლებელი იქნეს მუშათა ფართო მასის ჩარევამაც აპარატში, აგრეთვე რათა განხორციელდეს აქტიური დახმარება როგორც საერთო, ისე საწარმოო კონტროლში, პროფკავშირებსა და ინსპექციის შორის მყარდება შემდეგი დამოკიდებულება;

3. პროფკავშირების საბჭო, კავშირთა ცენტრალური მმართველობანი და მათი ადგილობრივი ორგანოები აყენებენ თავის კანდიდატებს საპასუხისმგებლო თანამდებობაზედ, ხოლო იგინი მტკიცდებიან თანახმად ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულებისა;

4. პროფკავშირების საბჭო და კავშირთა ცენტრალური მმართველობანი უშუალოთ და თავისი ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით მონაწილეობენ ინსპექციის დამხმარე წრეების არჩევნებში და მით უზრუნველჰყოფენ ინსპექციის ორგანოებში მუშათა განუწყვეტელ ჩარევას; ამ მიზნით პროფკავშირები ფართო აგიტაციას აწარმოებენ და განუმარტავენ ინსპექციის მიზნებს;

5. პროფკავშირების მიერ გამოგზავნილი თანამშრომელნი ინსპექციის სრულ განკარგულებაში გადადიან და ემორჩილებიან მის განკარგულება-დადგენილებებს; მასთან იგინი უნდა იქნენ გამოყენებული თანახმად მათი სპეციალობისა;

6. პროფკავშირების საბჭო თავის წარმომადგენელთა საშუალებით იღებს აქტიურ მონაწილეობას სხვა და სხვა სარევიზიო და საინსპექციო საკითხების შემუშავება-განხილვაში, როგორც ინსპექციის კოლეგიაში, ისე მის განყოფილებებში;

7. პროფკავშირების და ინსპექციის ორგანოთა შორის ცოცხალი კავშირის დასამყარებლად ამ უკანასკნელის წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან გააკეთონ პროფკავშირების პლენუმზე, კონფერენციებზე და სხვა აწ ცალკე მოხსენებები ინსპექციის მუშაობის შესახებ, ან გამოდიოდნენ როგორც თანამომხსენებელნი სათანადო სამეურნეო ორგანოთა მოხსენებების გამო;

8. რათა მუშათა ფართო მასის და მათ მიერ ინსპექციაში გამოგზავნილ პროფესიონალურ მუშაკთა შორის განუწყვეტელი კავშირი არ გაწყდეს, ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან პერიოდულად აკეთონ მოხსენებები კავშირთა კრებებზედ და აგრეთვე ფაბრიკა ქარხნებში მათ ამომრჩევ მუშების წინაშე.

და 9. პროფესიონალური ორგანიზაციები იტოვებენ უფლებას გაიწვიონ თავისი წარმომადგენელნი, ან ერთი პირი მეორეთი შეცვალონ და საბუთებული გაცხადებით.

კრებამ აქ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ამხ. ყურულაშვილი და მადლობა გამოუცხადა მას.

კრება გადადის მიმდინარე საკითხებზე და გამოსთქვამს სურვილს დაჩქარდეს დაწესებულებებში მოსამსახურეთა შტატების შემცირება და ითხოვოს ინსპექციის სახალხო კომისარიატს იშუამდგომლოს საქართველოს რევკომის წინაშე, რომ საქმეთა გარჩევის დასაჩქარებლად მოეწყოს რევტრიბუნალის პერიოდიული სესიები პროვინციებში.

კრება დაიხურა საღამოს 8 საათზე.

სახალხო განათლება პროვინციაში

25 ოქტ. მეორე საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატში მოეწყო ყველა მთავარ სამმართველოების და ცენტრების კრება სახ. განათლების კომისრის ამხ. კანდელაკის თავმჯდომარეობით, კრების მიზანი იყო გამოერკვიათ კულტურულ-განმანათლებელ საქმის მდგომარეობა პროვინციაში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და აგრეთვე ინსტრუქტორულ მუშაობის სისტემატიზაცია. მოხსენებები გააკეთა ამხ. ტურხანოვმა, [illegible] ბორჩალოს მაზრიდან. მისი მოხსენებიდან გამოირკვა მეტათ მძიმე მდგომარეობა სახალხო განათლებისა პროვინციებში. სახალხო განათლების განყოფილების [illegible] მხოლოდ [illegible] განყოფილება. კულტურული ძალები მაზრაში მეტად ცოტაა და ისინი გაფანტულნი არიან სამაზრო რევკომის სხვა განყოფილებებში, ადგილობრივი მასწავლებლები ჯეროვნათ ვერ ეწევიან კულტურულ მუშაობას. მუდმივ ბრძოლებით [illegible] მასწავლებელთა მიერ ეგრეთ წოდებულ „[illegible]" [illegible] მიიღეს მოსახლეობის განცხადებისა, რომ ეს და ის პირი აუცილებლათ საჭიროა ამა და ამ სკოლისთვის და რომ მოსახლეობას არ სურს გაუშვას იგი სახალხო განათლების განყოფილებაში სამუშაოთ. ძლიერ გაძვირდა გამოსვლები კონტრრევოლუციონურ ბანდებისა, რომელნიც განსაზღვრულათ პირდაპირ სდევნიან კულტურულ მუშაკებს ასე, რომ კულტურული ძალები ან რევკომის სხვა განყოფილებებში მუშაობენ ან სულ უარს ამბობენ მუშაობაზე. მაზრის კულტურული დონე იმდენათ დაბალია, რომ სოფლის კრებებზე არც ერთი წერა კითხვის მცოდნე არ ურევია ხოლმე. ლიტერატურული მომარაგების საქმე სავალალო მდგომარეობაშია: გაზეთები ვერა აღწევენ დანიშნულ ადგილზე და გზაში იკარგებიან. საზოგადო მდგომარეობის გამოსასწორებლათ საჭიროა ცენტრალური ხელის უფლების მტკიცე განკარგულება.

თუ ცენტრიდან არ მოეშველებიან კულტურული ძალები, ბორჩალოს მაზრა ვერ განათლებს მასსებს: იქ წერა კითხვის უცოდინართა რიცხვი შეადგენს 95 პროც. ამხ. ტურხანოვის მოხსენების შემდეგ, რომელმაც დაასურათა სახალხო განათლების კატასტროფიული მდგომარეობა ბორჩალოს მაზრაში სახალხო განათლების კომისარმა ამხ. კანდელაკმა გასცა სასწრაფო ბრძანება:

1. ყველა მთავარ სამმართველოებმა და ცენტრებმა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება პროვინციის საჭიროებას და იქ მუშაობას;

2. საორგანიზაციო ცენტრმა დაუყონებლივ გახსნას მოკლე ვადიანი კურსები მასწავლებლების მოსამზადებლათ თათრების სკოლებისთვის.

3. ნაციონალურ უმცირესობათა საბჭოს წევრმა, [illegible] წარმომადგენელმა სასწრაფოთ შეკრიფოს რამდენათაც შეიძლება მეტი კულტურული მუშაკნი, რომელთაც იციან თათრული ენა, თათრის სკოლებში ბორჩალოს მაზრაში გასაგზავნათ.

4) სოციალურ აღზრდის მთავარ სამმართველომ სამ დღეში აღადგინოს ბორჩალოს მაზრაში 4 ქართული სკოლა, რისთვისაც დაუყონებლივ გაგზავნოს იქ მასწავლებლები.

5. საორგანიზაციო ცენტრის ინსტრუქტორმა ამხ. ტურხანოვმა ერთი კვირის განმავლობაში მოაწესრიგოს ბორჩალოს მაზრაში [illegible] ცენტრის განყოფილება [illegible] და [illegible] შეერთებით [illegible] ნაწილისათვის.

6. [illegible] სასწრაფოთ არა უგვიანეს სამი კვირისა, მოაწყოს იმავე მაზრაში წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია.

7. ორგცენტრმა სასწრაფოთ გაგზავნოს კულტურული მუშაკნი მთავარ სამმართველოებთან შეთანხმებით ბორჩალოს მაზრაში სახ. გ. საქმეთა ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლათ.

8) მობილიზაციის წესით საქართველოს რევკომის დეკრეტის თანახმად [illegible] მუშაობაში მონაწილეობა ყველა პედაგოგიურ ძალებს. ამ ბრძანების [illegible] საორგანიზაციო ცენტრმა უკვე გაგზავნა 5 [illegible] ბორჩალოს მაზრაში. ამასთანავე კრებამ სახალხო განათლების კომისარიატი კოლეგიას [illegible] სახალხო განათლების მოსამსახურეთა პროვინციაში.

9. ორგანიზაციულ სამმართველომ დაუყონებლივ დაგზავნოს ინსტრუქტორები დაუთვალიერებელ მაზრებში.

10. მიღებულ იქმნეს ყოველგვარი ზომები სახალხო განათლების ცენტრალური განყოფილების [illegible] მასალით მოსამარაგებლათ.

მეორე მომხსენებლათ გამოვიდა ამხ. კაზირია, რომელმაც დაასურათა სიღნაღის მაზრის მდგომარეობა. სახალხო განათლების განყოფილებანი ფაქტიურათ მუშაობენ მხოლოდ ოქტომბრის 1-დან. ბევრ სკოლებს არ აქვთ ბინა, 83 სასკოლო შენობას სჭირია შეკეთება, არსებულ 136 სკოლიდან 21 გაერთიანებულია ერთ [illegible] შრომის სკოლაში. თავს იჩენს სამასწავლებლო პერსონალის ნაკლებობა. მაზრაში 800 მასწავლებელზე კი ტექნიკუმი არსებობს. [illegible] საჭიროება შეკეთება. ერთად ერთი სამაგალითო სკოლა ეს მარტყოფის სამ, რომელიც ჯერ კიდევ გასულ წლიდან აწარმოებდა მუშაობას შრომის საფუძვლებზე.

სტამბები უმოქმედოთ არიან გაჩერებული საერთო მიზეზით შრიფტის უქონლობისა და მუშების უყოლობის გამო. სამაზრო მუშაკთა მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმეა: მასწავლებლები ვერ ხედავენ ზედ მეტ შემოსავალს; სასწავლო წიგნები ძალიან მცირეა. მოხსენების შემდეგ გაიცა ბრძანება:

1) გაიგზავნოს ყველა მაზრებში საპედაგოგიო ლიტერატურა.

2) გამოიყოს რიგი პირთა ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობისთვის.

3) აღმოუჩინოს ყოველ გვარი დახმარება სიღნაღის მაზრის სახალხო განათლების ცენტრალურ განყოფილებას სკოლის შენობების შეკეთებაში.

4) მიღებულ იქნეს ყველა ზომები ტექნიკუმების პედაგოგიურ შემადგენლობის შესავსებათ.

5) არსებულ მარტყოფის სკოლას ყოველ მხრივ მხარი დაეჭიროს და გადაკეთდეს იგი საცდელ სამაგალითოდ. განათლების სახ. კომისარიატის სასწრაფო კრებები პროვინციაში მუშაობის მოსაგვარებლათ განუწყვეტლივ გრძელდება ყოველ დღე.

წარმოებით პროფკავშირებში

სახალხო საზრდოობის კავშირში.

სახალხო საზრდოობის კავშირის პლენუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ კავშირის ბათუმის განყოფილება ჯერ სრულიათ მოეწყო. კავშირთან მუშაობენ შემდეგი განყოფილებები: კულტურული, ეკონომიური, სატარიფო სანორმო. უკანასკნელს ამ ჟამად გააჩნია მაგარი ტარიფი. ეკონომიური განყოფილება ღებულობს ყოველ ზომებს მუშა მოსამსახურეთათვის ყოფაცხოვრების გაუმჯობესობისთვის.

კავშირი აერთიანებს 41 გაერთიანებულ სასადილოს 1000 მოსადილეთი და 20-ს კერძო წარმოებას. სასადილოებში მოწყობილია 41 ადგილობრივი კომიტეტი. პროფ. საბჭოს პლენუმში არიან ამხ. არჩვაძე, მაკურია, მენაღარიშვილი, სუკსიანი, მხეიძე და აბგარიევი.

პლენუმმა მიანდო პრეზიდიუმს მიიღოს სასწრაფო ზომები მუშა მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რისთვისაც მიმართოს შუამდგომლობით პროფესიონალურ საბჭოს, ქალაქის სასურსათო კომიტეტს და სახალხო სასურსათო კომისარიატს.

სოციალისტურ კულტურის მუშაკთა პროფკავშირში.

სოციალისტურ კულტურის კავშირის სატარიფო სანორმო განყოფილებამ ენკენისთვის განმავლობაში ტარიფში გაატარა 1537 კაცი 89 დაწესებულებებში და მოაწყო 89 შემფასებელი კომისია.

კავშირის დროებით ცენტრალურ მართველობასთან შემდგარია 9 პროფესიონალური სატარიფო სექცია: ჟურნალისტების, საერთო შრომის სკოლის მასწავლებლების, ტექნიკუმების მასწავლებლების, უმაღლეს სასწავლებლების, პროფესორების და სწავლულ ბიბლიოთეკარების, სასწავლო ასაკამდე განათლების მუშაკების, რემინგტონზე მომუშავეების და სკოლის დაბალი შემადგენლობის. ყველა ეს სექციები შეადგენენ სოც. კულტ. მუშ. დროებით ცენტრალურ მართველობასთან ცენტრალურ სატარიფო კომისიას.

პროვინციაში

ქალ. სამტრედია.

რევკომის ეკონომიური განყოფილებამ უკვე [illegible] ერთ თვეზე მეტია რაც ის მუშაობს. ძველი [illegible] რა ღარიბს არ ძალუძს, რომ ეს ახალი [illegible] ჩამორჩენილათ [illegible] (ობლის [illegible] სახით). მით დიდი ფული [illegible], მაგრამ [illegible] კოლეგიის [illegible] „საქმის [illegible]" და მართლაც [illegible] საქმე, რომ ეს ერთად ერთი კარგი შემოსავლიანი წყარო გადაეცა მოიჯარადრეებს [illegible] ეს დარჩა [illegible], კოოპერატივის წყარო [illegible] და მთავრობის [illegible] დღეს [illegible]; [illegible] წლების ძველი [illegible] პატრონები? [illegible], მათი [illegible] არ დაგიდევს, მით თავისი [illegible]. [illegible] როგორც [illegible] ძველი [illegible] ეკონომიური განყოფილებამ და [illegible].

როგორც ყველას მოეხსენება მიწის საკითხი ძლიან რთული საკითხია, ძველი [illegible] საქართველოშიაც. ამიტომ ყველგან, სადაც კი ირჩევენ მიწის კომიტეტებს, ან კომისიებს ეს საძნელო [illegible] უნდა ჰქონდეს [illegible]. ჩვენ ვიცით ძველი მთავრობის მიწის კანონი, რომელიც გლეხის უფრო დასაჩივლებელ არის შედგენილი ვიდრე მისი ხელით [illegible], ამიტომ საქმეთა მთავრობა ძალიან ფრთხილად უდგება ამ საკითხს და სდგამს ამა თუ იმ ნაბიჯს, მაგრამ რათ გინდათ კარგი დეკრეტი ან კანონი თუ მას უკუღმა გაიგებენ და არ ასრულებენ ისე, როგორც წესია, სამტრედიაში არსებობს ქალაქის მიწის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე იყო ვინმე [illegible], ეს ის [illegible], რომელიც [illegible] იყო [illegible] კომისიებში და კომიტეტებში და ძალიან განთქმული იყო [illegible]; [illegible], საქმეთა ხელისუფლების დროს [illegible] კომიტეტში. ჩვენ არ ვიცით, როგორი [illegible] ეს [illegible] ძველ [illegible] საქმეს რომ ვერ [illegible] ეს კი ვიცოდით. და [illegible] „[illegible]", [illegible] სადაო მიწების [illegible], ერთი სიტყვით ჩადიოდა [illegible] „[illegible]", რის გამოც ბ-ნი „მიწათა [illegible]" ([illegible]) ყოველდღე [illegible] და [illegible], [illegible] არ [illegible], [illegible] გაუფუჭა, [illegible], რომელიც რაღაც საქმეზე [illegible] ორ ფუთ ფქვილს რომ [illegible]. საქართველოს სამტრედიის რევკომმა სასტიკი გამოძიება წარმოუდგინოს ამ პირის შესახებ, რომ [illegible] და [illegible] ელემენტები ჩვენი დაწესებულებებიდან [illegible] ხალხს [illegible] ვუპასუხოთ, „ხედავთ ასეთები [illegible]"...

სან—კანი.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

სასოფლო სამეურნეო მანქანების ყიდვა. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა ნება დართო სასოფლო სამეურნეო განყოფილებას შეიძინონ სასოფლო სამეურნეო მანქანები განყოფილების მიერ შედგენილი სიით.

სასოფლო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფა. სადახლოს სახალხო მამულის მუშა-მოსამსახურეებს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატმა ნება დართო დაამუშაონ თავის საჭიროებისთვის მიწის პატარა ნაკვეთი, სივრცით თითო დესეტინა.

თელავის სარძევე ფერმა. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ნება დართო მიეცეს თელავის სარძევე ფერმის გამგეობას ავანსათ 50 მილიონი მანეთი 350 ფუთი ხორბლის და 63 ფუთი ლობიოს შესაძენათ, მამულის მუშა-მოსამსახურეთათვის მომავალი ზამთრისთვის და 111,600,000 მანეთი ზამთრის საქონლის საკვების შესაძენათ.

სარძევე ფერმა. მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატმა მისცა [illegible] მაზრის მიწის განყოფილებას 200 მილიონი მანეთი [illegible] მაზრაში სანიმუშო სარძევე ფერმის მოსაწყობათ.

მეხილეობა. სახალხო მიწათ მოქმედების კომ. განკარგულებით შექმნილმა განსაკუთრებულმა კომისიამ გორის მაზრაში მეხილეობის მდგომარეობის საკითხის გამოსაკვლევათ, რომელიც დაკავშირებულია მოსავლის გასაღების საკითხთან დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა [illegible] წინაშე რათა გაეხსნათ მებაღეებს ფართო კრედიტი და მიეცეთ ჩასაწყობი მასალა. განზრახულია მოეწყოს ნაყოფის და ბოსტნეულის [illegible] ექსპორტი ხილის საზღვარ გარეთ, კონსტანტინოპოლით და [illegible] ოლქებში. კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ [illegible] კოოპერაციის წარმომადგენელნი.

[illegible] გამოკვლევა. საქართველოს [illegible] საბჭომ მოაწყო კომისია მთელ რესპუბლიკის [illegible] გამოსაკვლევათ, კომისიაში შედიან თითო წარმომადგენელი ს. პ. კ. ს. ეკონომიური განყოფილებიდან, ს. მ. უ. ს. საბჭოდან და ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მრეწველობის დარგიდან.

მამულის სახაზინოთ გადაცემა. სახალხო მიწათ მოქმედების კომისარიატმა დაადგინა წინადადება მისცეს საფონდო სადგილ-მამულო განყოფილებას სასწრაფოთ შექმნას კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს და მიიღოს სახალხო მიწათ მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში [illegible] მამული, სივრცით 25 დესეტინა, ყოფილი [illegible].

სახალხო ძვირფასი მამული [illegible]. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ნება დართო მიეცეს [illegible] სახალხო [illegible] მამულის სამეურნეო საბჭოს 20,760,000 მანეთი ინვენტარის შესაძენათ.

თანახმად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებისა, ტექნიკურ-სამეცნიერო კომიტეტი დაშლილია და ტექნიკურ სამეცნიერო კომიტეტის ყველა საქმეები გადაეცემა ს. მ. უ. ს. ცენტრალურ-ტექნიკური წარმოებითი განყოფილებას. ([illegible]) განყოფილების დანიშნულებას შეადგენს საერთო ხელმძღვანელობა ს. მ. უ. ს. ორგანოთა ტექნიკურ წარმოებითი მოქმედებაში. კერძოდ ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილებას ევალება წარმოებითი პროგრამების შეფარდება და დამტკიცება მრეწველობის ცალკე დარგებში რესპუბლიკის გამორკვეულ მოთხოვნილების საფუძველზე. რესპუბლიკის მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებთან შეფარდებით. ამ ძირითად მოვალეობის გარდა, ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილებას ევალება საერთო წარმოებითი გეგმის დამუშავება, და განხილვა იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან კონცესიებსა და იჯარასთან და აგრეთვე მონაწილეობის მიღება, ს. მ. უ. ს. სამეურნეო ორგანოთა საკონცესიო წარმოებისა და მოიჯარადრეებთან ურთიერთ დამოკიდებულების დამყარებაში. ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილებას აქვს საერთო ხელმძღვანელობა ს. მ. უ. ს. განყოფილებათა მოქმედების ტექნიკურ წარმოებითი [illegible] თვალყურის ადევნების წარმოებითი პროგრამების შესრულების და აძლევს ინსტრუქციას სხვადასხვა დარგებში ს. მ. უ. ს. ტექნიკური წარმოების ორგანიზაციას. ცენ. ტექ. წარმ. განყოფილების [illegible] იმ საკითხების დამუშავება, რომლებიც ეხებიან რესპუბლიკის სიმდიდრეთა რაციონალურათ გამოყენების და მის საწარმოვო განვითარებისათვის საჭირო გეგმის აგებას. ცენ. ტექნ. წარმ. განყ. აგრეთვე შეიმუშავებს ახალ წარმოებათა მოწყობის საკითხს ერთგვაროვნობის კონცენტრაციაში და ცალკე წარმოებითი შეერთებებში. ყოველივე ამის გარდა ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილებას ევალება დახმარება აღმოუჩინოს ყველა დარგების პრაქტიკულ ტექნიკას, სასარგებლო ტექნიკურ ცოდნის გავრცელების, წიგნების, ბროშიურების, ლექციების მოწყობას და სხვადასხვა გზით. ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილება შედგება ქვეგანყოფილებიდან: ეკონომიურის, წარმოებითი გეგმების, ტექნიკურ გამოგონებათა, ინფორმაციულ—სარედაქციოსაგან და კანცელარიისაგან.

სხვა და სხვა საკითხების დეტალურათ განსახილველათ ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილების თავმჯდომარე აწყობს ეკონომიურსა და ტექნიკურ თათბირებს. ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილების სათავეში სდგას [illegible] დანიშნული ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

ცენ. ტექნ. წარმ. განყოფილების თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. მ. ს. [illegible], კოლეგიის წევრებათ ამხ. ვ. მ. ახობაძე, ტკაჩევი და გ. ზ. ანდრონიკაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი № 31

შრომის სახ. კომის. ყველა შრომის განყოფილების გამგეთ.

თანახმად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მონაწერისა, შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ ამიერიდან ხარჯების გაწევის დროს იხელმძღვანელოთ შემდეგი წესით:

1) როგორც თქვენ, ისე თქვენს წინაშე ანგარიშვალდებულ პირთ ერთდროულად შეუძლიათ გასწიონ ხარჯი 200,000 მანეთამდე მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის დაუსწრებლად.

2) იმ ხარჯების გაწევა, რომელიც 200,000 მანეთს აღემატება, შეიძლება მხოლოდ ინსპექციის წარმომადგენლის თანადასწრებით, რისათვისაც საჭიროა ინსპექციას წინდაწინვე აცნობოთ ამის შესახებ დროისა და ადგილის ჩვენებით.

3) თუ დანიშნულ დროზე და ადგილას ინსპექციის წარმომადგენელი არ გამოცხადდა თქვენ შეგიძლიათ გასწიოთ ხარჯი ინსპექციის წარმომადგენლის დაუსწრებლადაც, მხოლოდ აქტში უნდა აღნიშნოთ, რომ ინსპექციას ეცნობა იმის შესახებ და რომ ცნობა მას ჩაბარებული აქვს, მაგრამ მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდა.

შრომის სახ. კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

ინსტრუქცია.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიის მოქმედების შესახებ.

1. საერთო დებულება.

1. მიწის სარგებლობით და ურთიერთობით გამოწვეული დავის გარჩევა და გადაწყვეტა ევალება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ სადგილ-მამულო კომისიას და მის განყოფილებებს მაზრებში (სამაზრო კომისიები).

შენიშვნა: როცა დავის საგანს შეადგენს ღალის ანუ არენდის საკითხი, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება მტკიცე და უტყუარი საბუთი ისეთი მდგომარეობის დამამტკიცებელი, რომელიც იგულისხმება ცირკულიარის № 3 პირველ მუხლში, საქმეს სწყვეტს განსაკუთრებული სამაზრო კომისიის თავმჯდომარე თითონ, უკომისიოთ. უკმაყოფილონი მისი გადაწყვეტილებით შეიტანენ საჩივარს მიწადმოქმედების კომისარიატის კოლეგიაში, რომლის განაჩენიც საბოლოოა.

2. საქმე ირჩევა საჯაროთ და სწყდება თანახმად საქართველოს რევკომის—დეკრეტებისა და სოციალისტურ სინიდისის მიხედვით.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში ([illegible] და სხ.) მხარეებს შეუძლიანთ იყოლიონ რწმუნებულები, რომლებთაც შეუძლიანთ იყვნენ მხოლოთ ახლობელი ნათესავები [illegible] მოპასუხეებისა.

3. კომისიის სხდომა ჩაითვლება კანონიერათ, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი მოადგილე და არა ნაკლებ ორი წევრისა.

2. ორგანიზაცია.

4. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან [illegible] განსაკუთრებულ სადგილ-მამულო კომისიაში შედიან: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ხუთი წევრი.

5. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწადმოქმედების კომისარი, ხოლო მის მოადგილეთ ითვლება სადგილ მამულო „პოლიტიკის განყოფილების გამგე" განყოფილების გამგის თანაშემწენი, რომლებიც ხელმძღვანელობენ მიწათ-მოწყობის და კოლექტიურ მეურნეობის საქმეებს ივსებიან კომისიის წევრებად. დანარჩენ სამ წევრს გზავნის საქ. კომ. პარტ. ცენტ. კომიტეტი, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

6. კომისიასთან არსებობს კანცელარია, რომელიც შესდგება: მდივნისა, საქმის მწარმოებლისა, მანქანით გადამწერისა და რეგისტრატორისაგან.

3. სამაზრო კომისიები.

7. კომისიის სამაზრო განყოფილებაში შედიან თავმჯდომარე და ხუთი წევრი.

8. თავმჯდომარეს ნიშნავს სახალხო კომისარი, ხოლო წევრებათ ითვლებიან სამაზრო სადგილ მამულო განყოფილების კოლეგიის წევრები და თითო წარმომადგენელი სამაზრო მუშათა და გლეხთა „ინსპექციისა, პარტკომისა და პროფკავშირის.

4. საქმის გარჩევა სამაზრო კომისიაში.

9. ყოველი საქმე, დავა თუ პრეტენზია იწყება სამაზრო კომისიაში.

10. საქმის გარჩევას დღისთვის კომისია იწვევს მხარეებს და მოწმეებს უწყებით.

11. კომისია შეუდგება საქმის გარჩევას, თუ მხარეებს ჩაბარებული აქვთ უწყებები.

12. თუ საქმე მორიგებით არ გათავდა, კომისია შეუდგება მხარეების და მოწმეების დაკითხვას და საბუთების შემოწმებას, თუ უკანასკნელი საჭირო აღმოჩნდა.

13. როდესაც კომისია დაინახავს, რომ კითხვა საკმაოთ არის გამორკვეული, ადგენს თავის განაჩენს, რომელსაც უცხადებს მხარეებს.

14. უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან განსაჩივრის კომისიის დადგენილება სამი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

შენიშვნა: კომისია საჯაროთ აცხადებს განსაჩივრების ვადას.

შენიშვნა: სააპელაციო საჩივარი უნდა შეტანილი იქნეს სამაზრო კომისიაში. თუ საჩივარი პირდაპირ ცენტრში იგზავნება, ამის შესახებ მომჩივანმა უნდა დაუყონებლივ აცნობოს სამაზრო კომისიას.

15. განსაჩივრებული საქმე სააპელაციო საჩივრითურთ იგზავნება მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში არა უგვიანეს სამი დღისა დღიდან სააპელაციო საჩივრის ან ამის შესახებ ცნობის მიღებისა.

16. ძალაში შესული დადგენილება უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი სამაზრო რევოლუციონური კომიტეტის საშუალებით.

შენიშვნა: განსაჩივრებული საქმე სისრულეში არ უნდა იქნეს მოყვანილი საბოლოო გადაწყვეტამდე ცენტრში.

5. საქმის გარჩევა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

17. განსაკუთრებული კომისია, მიიღებს რა განსაჩივრებულ საქმეს, ნიშნავს გარჩევის დღეს სამი დღის განმავლობაში დღიდან საქმის მიღებისა და იწვევს მხარეებს უწყებით.

18. კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება არა უგვიანეს სამი დღის წარედგინება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს დასამტკიცებლათ.

(ეს ინსტრუქცია დამტკიცებულია მიწად მოქმედების სახ. კომისრის ამხ. მახარაძის მიერ 1921 წ. 31 ოქტომბრის თარიღით.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. [illegible] მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება [illegible] ნაშუადღევის 2 საათამდის.

საქართველოს განსაკუთრებული კომისიის კოლეგია და იაჩეიკის ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლის

ამხანაგ ნიკოლოზ ოსელიანის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ამა ნოემბრის 3-ს, ნაშუადღევის 11 საათზე; ცხედარს გამოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოდან, ტრამვაის ბოლოს პირდაპირ.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მარკების ნიმუშების დამზადებაზე დანიშნულ კონკურსის ვადა გაგრძელებულია 20 ნოემბრამდე 1921 წლისა.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.

საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი

აცხადებს, რომ 20 ნოემბერს დღის 12 საათზე ქალაქ ქუთაისში (ტფილისის ქუჩა) ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შენობაში დანიშნულია შეჯიბრება ქუთაის-ონის ქუთაის ხონის შორის, ქუთაისის ფ.-ტ. კანტორიდან სადგურამდე და უკან ფოსტების გადაზიდვის იჯარით გასაცემად. უკანასკნელ პუნქტებ შორის ფოსტის გადაზიდვის ამღებს დაევალება აგრეთვე საფოსტო ყუთების გაწმენდა.

ხონისა და ონის მიმართულებით გაიგზავნება (უკან დაბრუნებით) ფოსტა—კვირაში ორჯერ, მხოლოდ ქუთაისის სადგურ შორის იქნება გადაზიდული ყოველ დღე.

ამღებს შეუძლია ფოსტა გადაზიდოს როგორც ცხენებით, ისე ავტომობილებით. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გირაოს წარმოდგენა ფულად ან ძვირფასი ქაღალდების საბუთებით. განცხადება იჯარის აღების შესახებ მიიღება ფ. ტ. კომისარიატში, ქუთაისის, ხონის, ონის, ცაგერის, ალპანის, მუქერის, ლაილაშის, ჭრებალოს და ცემის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

ფოსტ-ტელეგ. სახკომისრის მოადგ. მაგ. (ხელმოწერილია.
განყოფ. გამგე

ტირაჟი 10,000 [illegible]
[illegible]